13
1961

ნახ. ა. კანდელაკი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ш1-24. ЗИЗ

ზოგიერთ კოლმეურნეობებში ცუდად არის დაყენებული სასოფლო-სამეურნეო მანქანების მოვლისა და შეკეთების საქმე

— საწამ თოვლს არ აიღებს, ეშმაკიც ვერ იპოვნის ჩვენს მანქანებს და შეკეთებას ვინლა ჩივის!

№ 1 თბილისი იანვარი 1961

ნიანგი

გამოცემის XXXIX წელი, ფასი 2 მან.

ერთი ვინ ... ეროვნული ბიბლიოთეკა

ერავის გაკვირვებია, როდესაც გასული წლის 23 ნოემბერს სოფლის მეურნეობის სამინისტროში ამხ. დოლაბერიძის სახელზე შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღეს (იხ. დეპეშის ფოტოასლი).



МИНИСТЕРСТВО СВЯЗИ СССР

ТЕЛЕГРАММА

ПРИЕМ: Бл. № 61 Принял:

ПЕРЕДАЧА: № связи Передал

ТБИЛИСИ 61 ТОЛ 210 АНАСЕУЛИ 101 23 23 1700=

Служебные

ВИЛЬНЮС 61 ТОЛ 210 АНАСЕУЛИ 174 21 23 1500=

ЛИТОВСКАЯ ССР ГОРОД КЛАЙПЕДА УЛ СОВЕТСКАЯ АРМИ ДОМ 56 КВ

С ВОРИСЛАВОВ СОФИИ ПАВЛОВНЕ= ПРИГЛАШАЕМ ВАС НА СВАДЬБУ

14-ГО ДЕКАБРЯ = НИНА - 1306

Таганрог. тип. № 10—4555—25-5-60 г. т. 100.000x100

ქორწილია,

ქორწილში დაპატიჟება ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ დეპეშის ტექსტი მაინც მოითხოვდა ზოგიერთი საკითხის დაზუსტებას. ყველაზე მეტად ამხანაგებს ის აინტერესებდათ გაეგოთ, საიდან მოხდა, რომ ქორწილი ლიტვის ქალაქ კლაიპედაში ეწყობოდა, ხოლო დაპატიჟების დეპეშა ანასეულიდან იყო გამოგზავნილი.

ორი დღის ენერგიული ძიების შემდეგ, ამხ. დოლაბერიძეს პირველი დეპეშის ნაცვლად სულ სხვა შინაარსის დეპეშა მიუტანეს (იხ. მეორე დეპეშის ფოტოასლი).



№10/3 - 24/11

МИНИСТЕРСТВО СВЯЗИ СССР

НА НР 010/50 24/11 ТБИЛИСИ

ТЕЛЕГРАММА МИНСЕЛЬХОЗ ДОЛАБЕРИДЗЕ=

ПРИЕМ: Бл. № 60

ПЕРЕДАЧА: № связи Передал

Адрес:

ТБИЛИСИ 61 ТОЛ 234 АНАСЕУЛИ 101 12 24 0700=

ЗАБРОШЕННЫХ ОЛЕНИЙ ЛАВРА ПРОШУ ВЫДЕЛИТЬ

ИНСТИТУТУ ТРИСТА ЖИВОТНЫХ= ГАМКРЕЛИДЗЕ-1730

Таганрог, тип. № 10—4555—25-5-60 г. т. 100.000x100

ქორწილი!

ახალი დეპეშის მიხედვით მას ქორწილში კი არ პატიჟებდნენ, არამედ ანასეულის ინსტიტუტიდან თხოვდნენ გამოეყო მათთვის დაფნის თესლი.

სად ქორწილი და სად დაფნაო, შეიძლება თქვას ზოგიერთმა მკითხველმა, მაგრამ არც ასეა საქმე.

უნდა ვიფიქროთ, რომ კავშირგაბმულობის ზოგიერთი მუშაკი, ალბათ, დაფნის გვირგვინით დაჯილდოებას ელოდება ასეთი „ბრწყინვალე" მუშაობისათვის და, რა გასაკვირია, რომ დაფნა ახსოვდეს.

„ერთგული" დარაჯი

ბეთა, ბეთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვეულებრივი მოკვდავი ათასში ერთხელ თუ დაწერს ავტობიოგრაფიას და ეგ არის და ეგ. გამოჩენილ და დამსახურებულ ადამიანებს კი სხვები უწერენ ბიოგრაფიას. ვისაც გამოჩენილი ადამიანის ბიოგრაფობა ეღირსება, თვითონაც გამოჩენილი ხდება და, ამგვარად: მრავლდება ცნობილ ადამიანთა რიცხვი.

მერი ივანეს ასული მაჭავარიანიც ცნობილი პიროვნებაა და ჩვენც მიზნად დავისახეთ, თუ კალამი არ დაგვიჩლუნგდა, ვაქოთ და ვადიდოთ იგი, რათა მადლიერ შთამომავლობას არ დავუკარგოთ ღვაწლი მისი ფრიადი და ღირსსახსოვარი. არავინ იფიქროს, თითქოს ამით თავის გამოჩენას ვაპირებდეთ. მერის ბიოგრაფიას თუ გაცნობთ, ამას ისევ მერის მომავლისათვის ვაკეთებთ.

მერი ივანეს ასული პირველ რიგში იმითაა ცნობილი, რომ, სხვებისაგან განსხვავებით, ორჯერ დაიბადა—ერთხელ 1931 წელს, მეორედ—1933 წელს. თუ არ გჯერათ, ჩახედეთ მის საბუთებში და პასპორტში. მის გაზრდაში არაფერი იმის მსგავსი არ ყოფილა. ზღაპრებში რომ იტყვიან, სადაც სხვა თვით იზრდებოდა, ეს დღით იზრდებოდაო. ჩვეულებრივად გაიზარდა, დაქალდა და გათხოვდა. გათხოვდა და, მალე, როგორც ქალთა ზოგ ნაწილს ჩვევია, დაჰკრა ფეხი, ჩამოვიდა თბილისში და, თავი ქალიშვილად რომ გაესაღებინა, მეორე პასპორტი აიღო, წლოვანობა დაიკლო, პასპორტის სათანადო ფურცელში კი ქორწინების რეგისტრაციის აღმნიშვნელი შტამპი გააქრო. მაგრამ ეს არაფერი. ჩამოვიდა თბილისში და შეუყვარდა თბილისი. თქვა: თუ ამ ქალაქში არ ვიცხოვრე და არ ვიმოღვაწე, რიღათი დავამტკიცო ჩემი თავადიშვილობა!

დატრიალდა და ერთხანს ჩაუწერავად იცხოვრა და იმუშავა. მერე იფიქრა, ახლა კი დროა ნამდვილი თბილისელი გავხდეო, შეავსო ამოწერის ბლანკი, ვითომც და კომბაინის ქუჩა № 42-დან ამოვეწერეო და დაუსვა რაღაც მანქანებით გახერხებული კერძო ბინის სამკუთხა და მილიციის სწორკუთხა ბეჭედი. სახლის პატრონს, აბრამ დავითისძე ბურაევს, ფიქრადაც არ მოსვლია, რომ შეიძლებოდა მისი სახლიდან ისეთი პიროვნება ამოწერილიყო, რომელსაც იქ არასოდეს არ უცხოვრია. მაგრამ, რა არ ხდება ამ ქვეყანაზე! ორჯონიკიძის რაიმილიციის საპასპორტო განყოფილებაში კი, როგორც ჩანს, ვიღაცას დღესაც არ უკვირს, რომ მაჭავარიანის ამოწერის ბლანკში მილიციისავე სწორკუთხა შტამპია დასმული.

ამ ქაღალდით მერი მაჭავარიანი შეროზიას ქ. №-4 მიადგა. იქ როზა გ-ას თავი შეაბრალა: —სახლი არა მაქვს და რა ვქნაო. როზას გული აუჩვილა უსახლკარო ანგელოზის დანახვამ და უთხრა:—შვილო, ჩემთან იცხოვრე და ჭირი და ლხინი გავინაწილოთო.— დაეთანხმა მერი და ხელოვნურად გატკბილებული ენით იმდენი უტრიალა დედაბერს, რომ თავი შეაყვარა. მერე კი ინანა მერიმ, განაწილება რა ხეირს მომცემსო და ზეცით მოვლენილმა ანგელოზმა რუზანას ავლადიდება ნოტარიალურად დაიმტკიცა.

მაგრამ როგორც კი როზამ ქონება უანდერძა მაჭავარიანს, მოხდა საოცარი მეტამორფოზა, ანგელოზი ეშმაკად გადაიქცა, ფრთების ნაცვლად კუდი გამოება, დატკბილული ენა მწარე ენამ შეცვალა და როზა, სამოთხის ნაცვლად, ჯოჯოხეთში მოხვდა. და დაიწყო წამება. თავადის ქალმა მთელი თავისი ჯადოქრობა მოიხმარა, რათა დედაბერი რაც შეიძლება სწრაფად გაესტუმრებინა საიქიოს, ცემდა, ემუქრებოდა და, ცხადად თუ ანონიმურად, ეცხადებოდა სიკვდილის მოციქულის სახით. ყელში უჭერდა „ნაზ ხელებს“, შუაღამით გააღვიძებდა ქალს, სახეს დაიმანჭავდა და მოკრუნჩხულ თოიებს კლანჭებივით უტრიალებდა თვალწინ. დედაბერმა კინაღამ სული პატრონს მიაბარა, მაგრამ, გაჭირვება რომ ნახა, გაქცევაც შეიძლო, მოიშველია მეზობლები, რო-



გორც იქნა, გააუქმა ანდერძის ქაღალდი და ანგელოზი ოთახიდან იფრინა. თითქოს გაქრა კოშმარული ღამეები, მაგრამ მაჭავარიანის ლანდი მაინც დარჩა შეროზიას ოთხ ნომერში. დღესაც შორიდან აშინებს როზას—მოგკლავო.

მერე (ეს იყო 1959 წლის ვარდობის, ანუ მაისის თვეს) მერი მაჭავარიანმა საბურთალოსკენ ქნა პირი და ჭიათურის ქ. № 2-ში ვენერა ფერაძეს შეაბრალა თავი:—დაუსწრებელზე ვსწავლობ, სახლი არა მაქვს, თქვენი ქმრის სოფლელი ვარ და მოიღე მოწყალება და მიშველეო.

— გიშველიო,—მიუგო ფერაძემ და ჩაისახლა. მაჭავარიანმა იმდენი იღონა, რომ ჭიათურის ქ.

№ 2-ის მუდმივ მცხოვრებად ჩაეწერა და, როცა ამას მიაღწია, მოიძულა დიასახლისი, აითვალისწუნა ეზოს მეზობლები და ანგელოზის ფრთები აქაც შხამიან ენად შეიცვალა. როგორც ამბობენ, ვის კოვზები მოპპარა, ვის საათი წაიღლიტა, ვის საწამლავით ქათმები დაუხოცა, ვინ გათათხა და გამოთათხა, ვის სცემა და, ბოლოს, განაცხადა:— ამ ოთახში ფული მიმიცია, აქ ჩამწერა მილიციამ და ფერაძის ქალმა, ცა და ქვეყანაც რომ შეძრას, დედიმისის შვილია და სცადოს ჩემი გასახლება, სეირს ვუჩვენებო.

ფერაძის კანონიერ საჩივარს ყური ათხოვეს სათანადო ორგანოებმა და მაჭავარიანის ქალი ამოწერეს, მაგრამ თავადის ქალმა ფეხი არ მოიცვალა იქიდან, აბა, თუ ვაჭკაცები ხართ, ხელი მახლეთო და დღემდე გრძელდება ერთი ჭიდილი და შეხლა-შემოხლა, მაგრამ ჯერ ისეთი ამირანი არ გამოჩენილა, რომ მაჭავარიანს ფერაძის ბინიდან ფეხი მოაცვლევინოს.

არ გეგონოთ მერი მაჭავარიანი მარტოდმარტო ბინების ხელში ჩაგდებით იყოს გართული. რამდენიმე ადგილას მსახურობდა კიდეც. ჯერ „კავკასსოფლელექტრომშენი“ აიანცა, დალანძღა ხალხი და ორი თვე უქმად გაატარა. კარგი რომ აქ დროებით იყო მიღებული, ვადა გაუვიდა და წავიდა. მერე იყო და ამ ტრესტის ფინანსური განყოფილების გამგის, ნ. ვ. მანუილოვის, ზეპირი რეკომენდაციით მერი „საქენერგოს“ ელექტროგადამცემი ხაზების და ქვესადგურების მშენებლობის დირექციაში მოეწყო. აქაც ანგელოზის სახე მიიღო, მაგრამ, გულმა ვერ მოუთმინა და მალე გამოაჩინა კლანჭები, ეცა მდივან—მემანქანეს, დაერია ბანკის თანამშრომლებს, აუჯანყდა მთავარ ბუღალტერს, აბუჩად აიგდო მუშაკები, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, ითხოვა და სამი დღით გაემგზავრა საჩხერეში, იქ დედა გახადა „ავად“, მერე „ამოხოცა“ ნათესავები და მთელ კვირას არ დაბრუნებულა, ჩამოვიდა და ერთ კვირას „იავადმყოფა“, ბიულეტენი რომ მოთხოვეს, ფულს თქვენი ჯიბიდან ხომ არ მაძლევთ, ხელფასი უკლებლივ მომეცით, თორემ ამას გიზამთ და იმას გიზამთო, მოაბეზრა ყველას თავი უხეშობით, უპატივცემლობით, საქმის აბსოლუტური უცოდინარობით. და ბოლოს, სამსახური ისე დაატოვებინეს, რომ საჭირო დოკუმენტები არც კი ჰქონდა წარმოდგენილი.

მერი მაჭავარიანი ცეკავშირის კოპერაციულ სკოლაშიც მუშაობდა მოლარედ, აქ, მის გადიდებულ მადას ხელფასი რომ არ ეყო, შემოსავლის წყაროდ ის გაიჩინა, რომ მოსწავლეებს, სტიპენდიის დარიგებისას, თუმან-თუმანს აკლებდა და თვითონ იჯიბავდა. მერე იქ ამხანაგურ სალაროდან, ლატარიას რომ ვეძახით, ექვსასი მანეთი გაიტაცა, ფული რომ მოთხოვეს, გაულანძღავი არ დატოვა სასწავლებლის არც ერთი თანამშრომელი, ბოლოს „სცენები“ გაუმართა დირექტორს და იქიდანაც გააბრძანეს.

ასე თავადურად ატარებს დროს მერი, თან ფიცით ლამის გული ამოუჯდეს, ჩემს ძარღვებში დიდგვაროვანთა სისხლი ჩქეფსო, თავათ კი სისხლი გაუშავა შინაურს და უცხოს, ასე აურია ასმეორე საბავშვო სახლში, თავის მეგობარს ნინო ონაშვილს ყელში ეცა და კინაღამ გამოღადრა, ნინო მამალაძეს, რომელთანაც ცხოვრობდა მერი ნინოშვილის ქ. № 46-ში, კარადა გაუღო და მურაბები გაუწყო. ასეთია მერის წვრილმანი და მსხვილმანი დანაშაულობანი, ასე იყო 1960 წლამდე...

ახლა კი...ახლა, ძვირფასო მერი, ახალი წელი დადგა, ბედნიერი 1961 წელი, იქნებ შენც ახლებურად შეხედო მას, მოეშვა სხვათა და სხვათა ლანძღვას, სადმე სამუშაოზე მოეწყო, კარგად და ბეჯითად იმუშაო. განა შენს სოფელში ბუღალტერი არ სჭირდებათ, განა იქ ცოტაა სამოღვაწეო? ოღონდ სოფელშიც და ქალაქშიც მოეშვი თავადისქალობას, რადგან თავადობა მოდაში აღარ არის. როგორც ნიანგმა გამოარკვია, მაჭავარიანები თავადები არ ყოფილან და შენ დაგვიანებით რატომ ითხოვ ამ წოდებას!

ძარაშოტი
ჯამბაკური

ნახ. ზ. ლეჟავა

— ამბოხებენ, ახალი მეტრი უნდა შემოიღონონ!
— ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა, მე რემი ზომა ვიცი!

... რომ სიფილი ზოგჯერ ცრემლზე მწარეა

ილია ქავქავაძის პროსპექტზე, ოსული ათასობით ადამიანის გულისყური იქცა. ეს იყო მიმართული, როგორმე ფეხი მოეკიდა ამომდგარ აეტიბუსზე ან ტროლეიბუსზე.

ჰოდა, ასეთი გაწამებიდან. მე და ჩემმა მეგობარმა გადაეწყვიტეთ გვესარგებლა ტუდაკლაქის შესასვლელთან მდგარი ტელეფონ-ავტომატით, შეკეთეთ გამოგვეძახა „ტაქსი", ნ სახლში გაგვფრთხილებინა, უჩვენოდ არ ესაღლეთ.

ჩვენს წინ მდგომნი თვალს ახამხამებენ შეიდიოდნენ და გამოდიოდნენ ჯიხურიდან. როცა ჩემ მეგობარი ჯიხურში შევიდა, ერთმა ახალგაზრ გამოფრთხილა: ბიძია, ტყუილადაგებახართ ავ ... ეკარაა ტელეფონი არ მუშაობს. ამ დრ ... მი მეგობარიც გაწბილებული ... ჯიხურიდან.

— რომ არ. ლაპარაკობს, ეს ... გაბარაზებით თქვა მან, — საქმე ... , რომ 15-კაპიკიანიც აღარ დამიბრუნა. ... ?!

— არა უშავს რა, ნიკოლაი ... , — ... ნუ გაიავეს, ეს ... სოფლო-სამეურნეო ინსტიტუტ ... იქიდან დაერეკოთ.

და გავყევით ქვევით.

ის ტელეფონი უფრო ნამუსანი გამოდგა, 15-კაპიკიანი უკან დაგვიბრუნა, მარამ არც ის მუშაობდა.

ახლა პროსპექტის მარჯვენა ... ბეგიხდა გადანაცვლება. ტელეფონ-ავტომატის ... ურიდან მანდილ ... ლისაბ გაბარაზებული გამოიდ ... ა. შემოგეჩიენა:

— გაგიგიათ ასეთი ამბავი, ... ბა მინდოდა ... ში 15—კაპიკიანი, ერთხელ ... ...

ჩვენ უარი განვაცხადეთ ჯიხ ... ბახლობელი ტელეფონ-ავტ ... ისაკენ გავწიეთ.

შორიდანვე შევამჩნიეთ ზოოვეტინსტიტუტის მახლობლად მდგარი ჯიხურიდან როგორ გამოვარდა ერთი ახალგაზრდა ყმაწვილი და სასწრაფოდ დაეშვა ქვევით.

— მოდი ახლა შენც სცადე, — მითხრა მეგობარ ... ,— ... ,— ... ,—

საბინაო სამმართველოს უფროსს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კიცსარება

ჟურნალისტ ტ. პ. კვინტრაძეს

მოგახსენებთ, რომ მე, ტრიფონ პართენის-ძე კვინტრაძე, დაბადებული 1913 წელს, ვარ ჟურნალისტთა კავშირის წევრი და, აქედან გამომდინარე, ჟურნალისტი (იხ. საბუთი № 1). მართალია, საზოგადოებრივი საქმიანობა ბუღალტრობით დავიწყე, მაგრამ ჩემში შემომქმედმა სძლია ბუღალტერს და სამუდამოდ გამაგდებინა საანგარიშო ჩოთქი ხელიდან. ამჟამად მე ნარკვევების ორი წიგნისა და წერილების კრებულის ავტორი ვარ (ტირაჟი ერთად 75 ათასი). ჩემს რამდენიმე ლექსზე, რომელიც ახალგაზრდობის დროს დავწერე, მუსიკაა დაწერილი და ხალხში სიმღერებადაა გადასული (გიდგენთ ნოტებს). ამასთან დავსძენ, რომ მე, ყველასავით ლექსებით კი არ დავიწყე ჟურნალისტობა, არამედ პროზით. (ასეთი ფაქტი ლიტერატურის ისტორიაში მეორეა. პირველი ინგლისელი თომას ჰარდის სახელს უკავშირდება).

რა არის ჩემი პოეზიის ლეიტმოტივი?—ჩვენი დედაქალაქის მშენებლობა და დამშვენება (ხაზგასმა კრიტიკოსებისაა). მე ვუმღერ ახალ სართულებს, ხარაჩოებზე გადმომდგარ მუშებს. მე ვუმღერ იმ ბედნიერ კაცს, რომელიც საბურთალოზე ახალბინაში შევა ორდერით ხელში, გააღებს ფანჯარას და იტყვის: ცხოვრება საამურია! ვერ დამისახელებთ ვერც ერთ კულტურულ ძეგლს, რომლის გახსნაზეც მე ჩემი გრძნობები სიტყვით არ წარმომეთქვას.

მაგრამ ჩემი შემოქმედება ნარკვევებითა და წერილებით არ ამოიწურება. მყავს ორი ბავშვი, ორი პატარა სიცოცხლე; ველოდები მესამესაც (იხ. საბუთი № 3). ბავშვები ჯანმრთელები არიან და ერთი მათგანი ლექსის წერის ნიჭსაც ამჟღავნებს (გიდგენთ ნიმუშს).

ჩემი ოჯახი ახლახან კიდევ ერთი წევრით გაიზარდა: სოფლის სიმარტოვეს გამოვსტაცე და ჩემს ჭერქვეშ შევიკედლე სიდედრი, რომელიც ისეა დავრდომილი, რომ ჩხუბის თავიც აღარა აქვს.

ეს ნაბიჯი გადამადგმევინა ჩემმა მოქალაქეობრივმა შეგნებამ (ჟურნალისტი ხომ უპირველესად ადამიანია!).

მთელ ამ მრავალრიცხოვან დასს (სოფლიდან ხშირად ჩამოსულ ნათესავებს თუ არ ჩავთვლით), გვიკავია ორი პატარა ოთახი, გაურემონტებელი კედლებითა და ურიცხვი თაგვებით.

იმისათვის, რომ შეიქმნას მაღალმხატვრული ნაწარმოები, მოგეხსენებათ, რამხელა მნიშვნელობა აქვს საბინაო პირობებს (არაფერს ვამბობ ნიჭზე).

დადგენილია, რომ ხმაურსა და აყალმაყალში ანონიმური წერილის დაწერაც არ შეიძლება, არათუ სულიერი საზრდოსი. მე კი ხშირად დავრდომილი სიდედრის წამოყენება მიწევს ტახტიდან საჭირო წიგნის ამოსაღებად! ანდა, რა შინაგანი სითბო უნდა მივსცე ნაწარმოებს, როდესაც გაყინულ ოთახში კალამსაც ვერ ვუჭერ ხელრიანად ხელს!

ყველაფერ ამას ემატება ის შეურაცხმყოფელი ფაქტი, რომ ვცხოვრობ ერთ-ერთი ჟურნალისტის გამონაცვალ ბინაში, რომელსაც არც ადამიანობითა და არც ნიჭით არ ვთვლი ჩემზე უფრო პატივსაცემ პირად.

მოგმართავთ თხოვნით, რათა გაითვალისწინოთ ჩემი ოჯახური მდგომარეობა, ჩემი დამსახურება ხალხის წინაშე და მომცეთ სამოთახიანი იზოლირებული ახალი (და არა ვინმე'ს გამონაცვალი!) ბინა, რაც დამეხმარება ხელიხელ საგოგმანები მარგალიტების შექმნაში.

განმცხადებელი: ჟურნალისტი

ტ. პ. კვინტრაძე

20. XII. 1960 წ.

— ქალო, მიღუპავ ოჯახს, ახანთი რომ მიგიცია,
ხანძარი გინდა გააჩინოს ბავშვმა?!
— ნუ გეშინია, მცხეთის ქარხნისაა!

საჩუქარი

მობრძანდითო,—მიმიწვია გასაპარსად დალაქმა,
სკამზე დამსვა... გადაუსვა გასალესად დანა ქვას.
ჩამციცინებს, იღიმება, სახეს მიზელს კომპრესით,
აბა, წვერი რას გაუძლებს სამართებელს მოლესილს.
მალ-მალ მკითხავს:—გენაცვალე, შეგაწუხა დანამ?..
ლოყებს ნაზი მაზი წამცხო, სუნამოთი დანამა.
გამპუდრა და, ულვაშები როცა ჩამოასწორა,
საუცხოო ნახელავი კიდევ აწონ-დაწონა.
მეორედაც მასთან მიველ, ვფიქრობ: კარგი ხელი აქვს!..
ისე ჩამსვა სავარძელში, არც შემოუხედნია.
აღარც ცხელი მასაჟები, არც ცნობილი ალერსი...
სამართებელს ალბათ წლეულს არ უნახავს სალესი.
ერთ ნაცნობთან ვთქვი ამაზე, იცინა და იცინა.
— არიფი ხარ, ახლა მართლა მეტი არა იცი რა?
საჩუქარი უნდა, ძმაო, ნუთუ არა გსმენია?
კაცი ხარ და ქუდი გხურავს, თავი შეგირცხვენია.—
ესა თქვა და კვლავ შეიპყრო ისტერიკულ ხითხითმა,
რატომ მივცე? ან საიდან? ეს კი აღარ იკითხა.

ნ. კლდიაშვილი



ეტიუტი ხუმრობა ლ. სიხარულიძისა

ნიანგი

სოფლური ანდაზები

- ცხვირი ავწიე მაღლაო—თავი წავიდა დაბლაო.
- ბიძა მყავს დიდი კაცია, მეც გავიზრდები აწიო.
- სილოსმა თქვა: ვინც გამაფუჭა ვიციო, იმას ვეცემი ცხვირშიო.
- ჯერ თვალს დავხუჭავ და შემდეგ გაგაკრიტიკებო.
- ჯანსაღ კრიტიკას ექიმი არა ღებულობსო.

ვ. შინდაგორაძე

ონის რაიონი, სოფ. სამთისი.

ფულის შეცვლისას

ძველი მანეთი (ახალი მანეთის შესახებ)—ასეთი რამე გაგონილა?—ჯერ ცხოვრებაში არ ყოფილა, მოსულა და ჩემზე ათჯერ მეტად აფასებენ.

ზოგიერთი საწარმოს მოლარე: უნდა გამოვეთხოვო ჩემს დიდ პორტფელს,—ჩვენი წარმოების შემოსავალ-გასავალს აწი ჯიბითაც ვატარებ!

მათემატიკოსი: დღემდე ვერ ამომეხსნა ამოცანა: „ტარანნახევარი—მანეთნ ხევარი. ერთი ტარანი რა ეღირება?“ ახლა მივხვდი, რომ ერთი კაპიკი.

ზოგიერთი გამყიდველი: დავიღუპე-ბი!—ასეთ ძვირფას ხურდას ვინღა შემარჩენს?!

ამერიკული დოლარი: ნუღარ დამაჭიდებთ საბჭოთა მანეთს—ეგ ხომ უკვე უმძიმეს წონაში გადავიდა!

ფ. ფულუკიძე

სტალინოს ოლქი, ნიკიტოვკა, შახტა 4—5.

ეს რა დამართნია, ჰა?!

25 61 12/1

ელენეს ძლიერ უყვარდა ბავისი ძმა ზაქრო.

ზაქრო დიდი კაცი გახდა და ერთხელ მანქანით ესტუმრა დას.

დიდი ხნის უნახავი და-ძმა ერთმანეთს ჩაეკრო, ერთმანეთი მიეკითხ-მოეკითხეს და მერე აივანზე დასხდნენ.

ზაქროს სიძემ, ლევანმა, მოყვარეს ბოდიში მოუხადა, წავიდა, გოგს ყელი გამოსჭრა, ზედაც ორიოდე ქათამი წააკლა... მალე ეზოში შემწვარ-მოხრაკულის სუნი დატრიალდა.

მანქანა კი ჭიშკართან იცდიდა.

შოფერმა ერთ ხანს უტრიალა „პობედას“, მერე ჩაჯდა შიგ და გაზეთი გაშალა.

დამ მოაგონა ძმას:

— ი ბიჭი ცოდოა, უთხარი მოვიდეს.

— არა, ჩემო დაო... მაგან თავისი ადგილი უნდა იცოდეს... შოფერია.

მერე, როცა პურ-მარილი გაიშალა, ელენეს გულმა აღარ მოუსვენა, ხონჩაზე მცირე პურ-მარილი გააწყო და შოფერს მანქანაში მიართვა.

— მოშივებული იქნები, შვილო...

— გმადლობთ, დედი... რაზე სწუხდებოდით.

— აბა, ეს რა შეწუხებაა გეთაყვა, მიირთვი.

— შიოვიჩი მალე გამობრძანდება?

— ვინა, შვილო?

— ზახარია შიოვიჩი...

— რა ვი!.. იქ მასეთი არავინაა... ვისა კითხულობ, რა ვქნა!..

— თქვენს ძმასა... ასე ეძახიან.

— მერედა სახელი აღარა აქვს!?.. ეს რა დამართნია, ჰა?!

თ. გოგოლაძე

მინიატურები

დახურულ კონკურსზე

— ეს ნაწარმოები სუსტია.

— სამაგიეროდ ავტორია ღონიერი.



ბალეტის შესახებ

— როგორ მოგეწონათ ჩვენი ბალეტი?

მოპასუხემ ხელებით რაღაც ანიშნა.

— ბოდიში, ვერაფერი გავიგე.

— რას იზამთ. მთელი სამი საათი მეც ამ დღეში ვარ.

ა. ბასილაია

— მე ავაშენე სახლი,—თქვა ინჟინერმა დინჯად.

სახლს კი ეს სიტყვა გულში მოხვდა ეკლად და ხინჯად;

— «ტყუის! პირიქით მოხდა,—წამოცდა სახლსაც ბრაზით,

და შენ, მკითხველო, თვითონ გაიგე მთქმელის აზრი!

— თქვენ, ბიძია ეგნატე, მართლა იკბინებით?

— არა, გენაცვალე, საიდან მოიტანე?

— აბა მამიკოს რატომ კბენთ?

უ. ფანცულაია

რედაქტორი ნ. შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე, ხ. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჭელიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“.

რედაქციის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—3-76-69, საერთო განყოფილების—3-10-49

ბელმოწ. დასაბ. 30/XII-1960 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შეკ. № 2201, უე 00001. ტირ. 40000

ინგლისის მოსახლეობაში უდიდეს შეშფოთებას იწვევს ინგლისის ტერიტორიაზე ამერიკელთა სამხედრო ბაზების და შოტლანდიაში წყალქვეშა ნავებისათვის სამხედრო-საზღვაო ბაზების შექმნა.

ნახ. გ. ლომაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისური ლომის ხელები